3 F160W262

№ 1 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 1 მან. ხუთშაბათი, 1 იანვარი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრიდან გაზ. არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონი 1—82.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

ხუთშაბათს, იანვრის 1 ს დილით წითელი ქუდი და გალეტი—კოკელია
მონაწილეობენ: რისი, იანსა, მოლჩანოვი, საბინინი. საღამოს აიდა მონა წილეობენ: ალეშკო, გლაზი, მარკოვი, ინაშვილი, ისეცკი.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

საღამოსახსნაული რეპერტუარი

ხუთშაბათს, იანვრის 1-ს, დილით წითელი ქუდი და გალეტი—კოკელია. საღამოს აიდა.

პარასკევს, იანვრის 2, დილით ალი. საღამოს ქართული დრამა ღალატი.

შაბათს, იანვრის 3 ს, დილით პატა წაღებით და შოგის ხე. საღამოს ოპერა მუშებისთვის რიგოლეტო.

კვირას, იანვრის 4-ს, დილით ევგენი ონეგინი. საღამოს ისეცკის ბენეფისი სევილიელი დალაქი და გალეტი

ორშაბათს, იანვრის 5-ს, საღამოს „აბესალომ და ეთერი". ხუთშაბათს, იანვრის 8-ს, დილით „გენზელი და გრემელი". საღამოს ეზროვის 20 წლის იუბილეი „პიკის ქალი". პარასკევს, იანვრის 9 ს, დილით „კარმენი". საღამოს „ჰოფმანის ზღაპრები". შაბათს, იანვრის 10-ს, ოპერა მუშებისთვის „ჯამბაზები" და ბალეტი. კვირას დილით „გენზელი და გრემელი". საღამოს დირიჟორ კორშონის ბენეფისი—„დუბროვსკი". 317

იტალიური სააქციო ნ. საზოგადოება

ულოცავს თავის კლიენტებს ახალ წელს

SAGO

ადმინისტრატორი დელეგატი გ. ზ. ოგანეზოვი.
მთავარი გამგეობა რომში.
გენერალური განყოფილება ბათუმში.
ბარიერის პრ. სპექტი № 31.

ოფიციალური ნაწილი

კანონი.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოს დებულების დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული დებულება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოსი და ამ საბჭოსიდე შტატი.

2. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან 1 მუხ. აღნიშნულ საბჭოს შტატის შესანახად წლიურად ორას ოთხმოცდაცხრა ათას ორასი (289.200) მან,

3. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია.

დებულება

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოსი.

1.

იმ საქმეების განსახილველად, რომელიც თავისი მნიშვნელობით ყოველ მხრივ გაშუქებას საჭიროებს, და აგრეთვე ყოველი იმ საკითხის და საქმის მოსაწესრიგებლად, რომელიც-კი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის უწყებას შეეხება და რომლის გამო მინისტრი საბჭოს აზრის მოსმენას მოისურვებს, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრთან არსდება საბჭო.

2.

კერძოდ საბჭოს საგანს შეადგენს:

1. ახალ კანონთა გამოცემის და აგრეთვე მომქმედ კანონთა შეცვლისა, შევსებისა და გაუქმებისათვის მასალის შემუშავება;

2. სახელმწიფო შემოსავალ - გასავლის ხარჯთაღრიცხვის წინასწარი განხილვა;

3. ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის მიერ დასამტკიცებელ წესებისა და ინსტრუქციების წინასწარი განხილვა, კანონთა და მთავრობის განკარგულებათა შესრულების წესისა და აგრეთვე სამინისტროს უწყებაში მყოფ დაწესებულებათა საქმის წარმოებისა, ანგარიშების შედგენის და წარდგენის წესის შემუშავება;

4. საქმის წარმოების დროს მომქმედ კანონთა უსრულობის ან გაურკვეველობის გამო აღძრულ საკითხების განხილვა.

5. საკანონმდებლო საკითხები, რომელიც ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ დასკვნას საჭიროებს;

6. იმ საკითხების განხილვა, რომელიც სახაზინო-სააჯარო საქმეების აღსრულების გამო არის აღძრული;

7. კერძო პირთა, საზოგადოებათა და წარმოებათა მიერ ხაზინის წინააღმდეგ აღძრულ დავა-ცილობის და ხაზინის საჩივრის საქმეები.

8. სარკინისგზო საერთო და კერძო ტარიფისა და საბაჟო ტარიფის საკითხები.

9. აქციზ-დადებულ წარმოებათა გარშემო აღძრულ ტეხნიკურ საკითხთა განხილვა და შემუშავება;

10. სახელმწიფო შინაურ და საგარეო სესხისა და ხაზინის მიერ გაცემულ სესხის აღებისა და გადახდის საკითხის განხილვა.

11. სახელმწიფო ბანკსა, შემნახველ კასებსა, ყოველ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საკრედიტო დაწესებულებასა და წვრილ კრედიტის დაწესებულებაში საქმის მოწესრიგებისა, მოქმედებისა და მათ მიერ სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის გამომწვევ საკითხთა განხილვა.

12. სახელმწიფო სარგებლიან ქალალდებისა, ყოველგვარ პაისა, აქციისა, ობლიგაციისა და გირავნობის ფურცლის კანონიერ შეფასების ცხრილების განხილვა მათზე სახაზინო გადასახადისა და ბაჟის დასაწესებლად და საჯარო, აქციზისა და ყოველგვარ სახაზინო გადასახადის უზრუნველ-საყოფელ საწინდრად მისაღებად.

13. საერთო მნიშვნელობის ტეხნიკური ღონისძიებანი სავაჭრო ნავთ-სადგურთა ასაგებად და მოსაწყობად, აგრეთვე ამ ნავთსადგურებში უსაჭიროეს სამუშაოთა გეგმები, რომელიც ხაზინისაგან დიდ ხარჯს მოითხოვს.

14. სავაჭრო ნაოსნობის განსავითარებლად საჭირო ღონისძიებანი და ახალი ნავთსად გურებისა და არსებულის გაუმჯობესება.

15. სავაჭრო ნავთსადგურების საზღვრების გამორკვევა, სანავთსადგურო ადგილის კერძო პირებზე გაცემის პირობისა და სანავთსადგურო მოწყობილებათა სარგებლობის წესის შემუშავება;

16. ნავთსადგურის საკრებულოთა მიერ გამოსაცემი სავალდებულო დადგენილებანი და ამ დადგენილებათა გამო აღძრული საჩივრების გარჩევა;

17. სამთო ნაწილის საგამომძიებლო და სასამართლო საქმეები, სამთო ქარხნების, მაღაროების და მარილის წარმოებით გამოწვეული, ხაზინისა და კერძო პირთა შორის დასადები ხელშეკრულებანი, სამკურნალო წყლების დაცვის ფარგლების გამორკვევა და აგრეთვე საერთოდ, სამთო მრეწველობის და კერძოდ მისი ცალკე დარგების განსავითარებელი ღონისძიებანი;

18. ვაჭრობა-მრეწველობის გასავრცელებელ ღონისძიებათა და საერთო გეგმათა განხილვა; ქარხნების და სამრეწველო დაწესებულებათა მოწყობა-მოწესრიგების საერთო ხასიათის საკითხი და აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობისათვის გამოსაცემი სავალდებულო დადგენილებანი;

19. დასაცველ მოწმობათა და უპირატესობათა მინიჭების საქმეები.

20. სხვა სახელმწიფოებთან უფლისა და საქონლის გაცვლის წესებისა და ნარგების დადგენა;

21. სხვა და სხვა კონცესიის გაცემის თაობაზე თხოვნების განხილვა.

22. ხაზინის ანგარიშებიდან უიმედო და შეცდომით შეწერილ დარჩენილ გადასახადისა და ჯარიმის გამორიცხვა და აგრეთვე გადასახადისა და სხვა შემოსავლების სახით ხაზინაში შეცდომით შეტანილ ფულის დაბრუნება იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსარიცხი და დასაბრუნებელი ფულის ჯამი აღემატება იმ რაოდენობას, რომლის გამორიცხვისა და დაბრუნების უფლება მინისტრის ხელშეწერით დაწესებულებათა აქვთ.

23. თვით საბჭოს მიერ აღძრული საკითხები, რომელსაც მინისტრი საჭიროდ სცნობს მათ საბჭოში განხილვას.

3.

მინისტრის საბჭოში თავმჯდომარეობს მინისტრი, ან მისი ამხანაგი, ან მინისტრის მიერ საბჭოს წევრთა შედგენილობიდან საგანგებოთ დანიშნული პირი.

4.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭო შესდგება: ა. მუდმივ წევრთაგან, რომელთა რიცხვში ითვლებიან: მინისტრის ამხანაგი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტების დირექტორები, სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელი და ისინი, რომელთაც მინისტრი თავის განკარგულებით დანიშნავს მუდმივ წევრებად და ბ. მუდმივ წევრთაგან, რომელთა რიცხვი განსაზღვრულია ამ დებულებასთან დართული შტატით; ეს უკანასკნელნი მინისტრის მიერ წარდგენით მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით ინიშნებიან, განსაზღვრულ ჯამაგირს ღებულობენ და სარგებლობენ სახელმწიფო სამსახურის ყოველი უფლებით.

5.

წინა მუხლში ჩამოთვლილ წევრთა გარდა, რომელნიც შეადგენენ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოს, საქმის საჭიროებისამებრ საბჭოს ან მის კომისიების სხდომებზე მინისტრის განკარგულებით შეიძლება მოწვეულ იქნენ გადამწყვეტი ხმის უფლებით სხვა უწყებათა წარმომადგენელნი, სამინისტროს განყოფილებათა და სხვა და სხვა ნაწილთა უფროსნი და აგრეთვე ადგილობრივ საქალაქო და საერობო თვითმართველობათა, კოოპერატიულ საზოგადოებათა ბანკებისა, სავაჭრო სამრეწველო და სატეხნიკო წარმოებათა წარმომადგენელნი.

შენიშვნა 1. 5 მუხლში ჩამოთვლილ პირთა გარდა, რომელნიც საბჭოში მონაწილეობას იღებენ გადამწყვეტი ხმის უფლებით საბჭოს სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეულ იქნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები და ისინი, რომელთა გამოცდილება და ცოდნა საქმისათვის სასარგებლოდ მიჩნეულ იქნება.

შენიშვნა 2. მე 4 მუხლის ა—პუნქტში და ბ მუხლთან დართულ 1 შენიშვნაში, ნაჩვენებ პირთ, საბჭოში ან საბჭოს კომისიებში მონაწილეობისათვის, ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, შეიძლება დაენიშნოთ საგანგებო გასამრჯელო, ამ საჭიროებისათვის და აგრეთვე საქმის წარმოების, ექსპერტების და საბჭოს წევრების საგანგებო მონდობილობით გამოწვეული მგზავრობის ხარჯის დასაფარავად ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში ყოველ წლიურად გადაიდება საგანგებო კრედიტი.

6.

საბჭოს კრება დაინიშნება საჭიროების და საქმეთა რაოდენობის მიხედვით თავმჯდომარის განკარგულებით.

7.

საბჭოს მიერ განსახილველი საკითხები დაისმის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განკარგულებისამებრ. საბჭოს ჟურნალების შედგენა და მისი მომდინარე მიწერ-მოწერის წარმოება დაევალება საგანგებო მდივანსა და საქმის წარმოებლებს.

8.

ყოველი საქმე საბჭოში გადასწყდება წევრთა და გადაწყვეტა ხმის აბსოლიტ პირთა (იხ. 5) ხმების უბრალო უმეტესობით; თუ ხმები თანაბარია თავმჯდომარის ხმა გადასწყვეტს საკითხს.

9.

მინისტრის საბჭოს სხდომა კანონიერად ითვლება თუ მე-4 პუნ. აღნიშნულ წევრთა რიცხვის ნახევარზე ნაკლები არ დაესწრება.

10.

საბჭოს მიერ ყოველი მოსმენილი საქმის გამო შესდგება მოკლე ჟურნალი. საბჭოს წევრთა მიერ წარმოდგენილი განსაკუთრებული მოსაზრებანი თან დაერთვის ჟურნალს. ასეთ განსაკუთრებულ მოსაზრებათა წარსადგენად ვადაა შვიდი დღე დღიდან იმ სხდომისა, რომელზედაც გამოტანილ იქნება ესა, თუ ის დადგენილება.

11.

საბჭოს ყოველი დადგენილება წარედგინება დასამტკიცებლად მინისტრს, რომელიც ან სათანადო დეპარტამენტს გადასცემს ასასრულებლად, ან მთავრობას გაუგზავნის, თუ საქმის ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა ან მთავრობის დადგენილება, ან საკანონმდებლო დაწესებულების დამტკიცება. უკანასკნელ შემთხვევაში მინისტრს შეუძლია თავის მოხსენებასთან ერთად გაჰგზავნოს საბჭოს სხდომების ჟურნალები, საბჭოს წევრთა განსაკუთრებული მოსაზრებანითურთ.

12.

თუ რომელისამე უწყების ერთმა ან რამდენიმე წარმომადგენელმა წევრმა განსაკუთრებული მოსაზრება წარადგინა, საბჭოს დადგენილების ასრულებამდე მინისტრი დასკვნასა სთხოვს იმ მინისტრს, რომელთაც თავის წარმომადგენლები ჰყავდათ საბჭოს ბსენებულ სხდომაზე და უგზავნის მათ სხდომის ჟურნალებს, თავისი დასკვნითურთ. თუ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის დასკვნის საწინააღმდეგო აზრი არ მოუვიდა ერთი კვირის განმავლობაში, მაშინ აღნიშნული დასკვნა მიღებულად ითვლება.

13.

რთული საკითხების გადასაჭრელათ საბჭოს უფლება ეძლევა გამოჰყოს თავის წრიდან მუდმივი ან დროებითი კომისიები, სხდომებზე სათათბირო ხმით მცოდნე პირთა მოწვევის უფლებით.

14.

კომისიებს თავმჯდომარეობს მინისტრის ამხანაგი, ან მინისტრის მიერ საგანგებოდ დანიშნული საბჭოს წევრი და სხვა პირნი.

15.

მუდმივ კომისიათა მუშაობის წესრიგი გამორკვეული უნდა იყოს კომისიისათვის საგანგებო ინსტრუქციით, რომელიც უნდა იქნეს საბჭოსაგან მოწონებული და მინისტრის მიერ დამტკიცებული.

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

მე 4 მუხლის დამატება.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოს

შ ტ ა ტ ი

თანამდებობის დასახელება	რიცხვი	წლიური ჯამაგ. თვითეულს	ჯამი
მთავრობის თავმჯდომარის მიერ დანიშნული წევრი . . .	3	48000	144000
საბჭოს მდივანი . . .	1	30000	30000
საქმისმწარმოებელი .	2	27600	55200
სულ წელიწადში .	—	—	229200

დებულების მე-4 და მე-5 მუხლში აღნიშნულ პირთა დასაჯილდოებლათ:

ა) საბჭოს აუცილებელ წევრთათვის, რომელთაც ფინანსთა მინისტრის მიერ დაენიშნებათ ჯილდო (ყველას) . . . . 24000 მ.

ბ) იმ პირთათვის, რომელნიც საბჭოს სხდომებში მონაწილეობას იღებენ და ხაზინიდან მუდმივი ჯამაგირი არ აქვთ დანიშული 6000 მ.

გ) ფინანსთა მინისტრის დავალების აღსრულებისათვის ჯილდოდ საბჭოს წევრებს და მიწვეულ პირთ მაგალითად: კანონ-პროექტების, მოხსენებანის, გეგმების შესამუშავებლად, ექსპერტიზის, ანალიზების, ტეხნიკური რჩევის დასაჯილდოებლად და სამსახურის მოვალეობის აღსასრულებლად გამგზავრებით გამოწვეულ ხარჯის დასაფარავად . . . 30000 მ.

სულ წელიწადში . . . 60000 მ.

შენიშვნა: ფინანსთა მინისტრს უფლება ეძლევა მე-4 და მე-5 მუხ. დამატების ლიტ. ა, ბ და გ. აღნიშნული თანხების ნაშთები ერთი მუხლიდან მეორე მუხლში გადაიტანოს საჭიროებისამებრ იმ პირობით კი, რომ ხარჯი არ აღემატებოდეს საერთო ჯამს.

1919 წ. დეკემბრის 19.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

ტფილისი, 1 იანვარი 1920 წ.

კიდევ ერთი წელი ჩაბარდა ისტორიას. წარსული წელი ისტორიულად ფრიად მნიშვნელოვანია ქართველი ერისათვის. დიდი ხნის მონობის შემდეგ ქართველმა ერმა პირველად 1919 წელს განიცადა ეროვნული თუ პოლიტიკური თავისუფლების სიძლიერე. თავისუფლების მაცოცხლებელი სხივები გულის სიღრმემდი ჩაწვდა ქართველ ერის ნახევრად გაყინულ არსებას. მან იგემა მისი სიტკბოება და მიტომ არის, რომ ქართველი დემოკრატია გააფთრებულ ლმობივით ერბრძის ყოველ უხეშ ძალას, რომელსაც მიზნად აქვს დასახული სისხლითა და ვაი ვაგლახით მოპოვებული თავისუფლების ლამპარი ჩაუქროს ქართველ ერს.

წარსულ წელს მომაგრდა, ფეხი მოიკიდა საქართველოს დამოუკიდებლობამ. შინაური წეს-რიგი თან და თან მტკიცდება.

წარსული წლის ჩვენმა საქმიანობამ დაარწმუნა მტერ მოყვარე, რომ ქართველ ერს შესწევს ძალა და უნარი თავის თავს თითონვე უპატრონოს.

ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ქართველი ერის ნებისყოფისა და სურვილის გამომხატველი უზენაესი ორგანოს დამფუძნებელ კრების ნაყოფიერი მუშაობა და ჩვენი მთავრობის ბრძნული და მიზანშეწონილი პოლიტიკა; ის გზა, რომელზედაც მთავრობა ადგა წარსულ წელს, იყო სავსებით გამომხატველი ქართველ დემოკრატიის სულისკვეთებისა და ინტერესების.

სიმტკიცე, გასალკლდევებული სიმაგრე შინ და გარედ, აი რა იყო მთავრობის მიზანი.

გარდა ამისა მთავრობამ კარგად იცოდა თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის მეზობელ ერთა შორის სოლიდარობას და ის პირველი იყო, რომელიც აძლევდა ტონს—მოუწოდებდა მეზობელ ერებს სოლიდარობასა და მეზობლურ კავშირისაკენ. ამ კავშირის დამყარება საქართველოს მთავრობამ კიდევაც შესძლო: ჩვენსა და ჩვენს ისტორიულ მეზობლებ შორის კეთილი განწყობილება დამყარდა. სომხეთ ადერბეიჯანიც თანხმდებიან.

ყველაზე ულმობელი და მზაკვრული მტერი ჩვენი რესპუბლიკისა ეს იყო ანარქია, რომელსაც აწარმოებდენ ჩვენში ეგრედ წოდებული „კომუნისტები; მათ წარსულ წელს არა ერთხელ სცადეს ქურდულად ჩაეცათ მახვილი ქართველ დემოკრატიისათვის, მაგრამ ყოველთვის ჯეროვანი პასუხი მიიღეს მისგან; მათთან ბრძოლაში დაიღვარა ქართველ დემოკრატიის უმანკო სისხლი, მაგრამ აქაც გამარჯვება ქართველ დემოკრატიას ხვდა წილად: უკანასკნელ სამარცხვინო დამარცხების შემდეგ არ გვგონია „ბოლშევიკებმა“ კვლავ გაბედონ საქართველოს წინააღმდე აშბოხების მოწყობა.

ამგვარად წარსული, 1919 წელი საქართველოს დემოკრატიის გამარჯვების წელიწადია.

შეიძლება ჩვენ ნორჩ სახელმწიფოს ცას კიდევ გადაეკრას შავი ღრუბლები, იქნებ კიდევ მოუწიდეს ქართველ ერს ბრძოლა თავისუფლებისა და ეროვნული სხეულის მთლიანობის დასაცავად, მაგრამ ღრმად გვრწამს, რომ გამარჯვება მუდამ ქართველ დემოკრატიას დარჩება და ჩვენც ამ გამარჯვების იმედით ვეგებებით ახალ წელს.

კასპარა შენიშვნები.

გასული წელი.

საქართველოს მომავალი ისტორიკოსის გულისყური, უეჭველია მიპყრობილი იქნება ორ დატაზე. პირველი იქნება 1917 წლის 12 დეკემბერი, მეორე—1918 წლის 26 მაისი.

12 დეკემბერს არსენალში ტფილისის მუშების მცირერიცხოვანმა რაზმმა ჩაუყარა საძირკველი 1918 წლის 26 მაისს და სწორედ აქედან იწყება ჩვენი განახლების, საკუთარ ფეხზე დადგომის, დამოუკიდებლათ ცხოვრების ხანა. ეს არის ჩვენი ეროვნულად აღორძინების ახალი წელი.

მაგრამ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და ჩვენც ჩვეულებრისამებრ ვდღესასწაულობთ ახალ წელს. ამ დღეს ვიგონებთ ჩვეულებრივათ რა გაგვიკეთებია მთელი წლის განმავლობაში, რა შეგვიძენია, რა დაგვიკარგავს.

გასული 1919 წელი ამ მხრით, შეიძლება ითქვას, კარგი წელიწადი იყო. ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენმა ხალხმა შესძლო შეენარჩუნებინა ის, რაც მან წინა წელში მოიპოვა—ეს იყო და არის ჩვენი დამოუკიდებლობა.

გაცხარებული აღმაშენებლობითი მუშაობას ეწეოდა ჩვენი დემოკრატია. სხვა და სხვა მიზეზების გამო არ მოხერხდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება დიდი სახელმწიფოების მიერ, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ: იმდენი მაინც გაკეთდა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი დამოუკიდებლობა აღიარებულ იქნება.

სომხეთთან ომის ლიკვიდაციასთან ერთად მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრულ ცხოვრების შესაძლებლობას.

აღსრულდა ჩვენი დემოკრატიის დიდი ხნის მისწრაფება, რომ სადავო საკითხები მეზობლებს ურთიერთ შეთანხმებით მოეწესრიგებინათ. საქართველო-ადერბეიჯანმა სამხედრო ხელშეკრულებაც კი დასდო, რასაც საფუძვლად დაედო ურთიერთის დახმარებით თავიანთი დამოუკიდებლობის დაცვა. სომხეთთანაც საქართველოს მთავრობამ გამონახა საერთო სალაპარაკო ენა. მეტიც გაკეთდა. ჩვენი საგარეო სამინისტროს მეცადინეობით მოხდა ადერბეიჯან-სომხეთის მორიგებაც. მეზობელ სახელმწიფოებში მთელი წლის განმავლობაში საფრთხეს წარმოადგენდნენ საქართველოსათვის ჩრდილოეთიდან ჯერ ბალშევიკები, შემდეგ დენიკინის რუსეთი. რუსეთში პირველობისათვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ მებრძოლი ეს ორი ძალა ვერ შეურიგდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ამიტომ, მთელი წლის განმავლობაში ჩრდილოეთის ფრონტი საქართველოს დემოკრატიას გამაგრებული ჰქონდა, მუშაობდა მის კიდევ უფრო გასამაგრებლად, იბრძოდა ამ ფრონტზე და უმეტეს შემთხვევაში, ამარცხებდა მტერს. ამ ფრონტის მიზეზით საქართველოს დემოკრატიას არ მოუსვენია მთელი წლის განმავლობაში: როცა მხედართა ერთი ნაწილი იღლებოდა აქ, მას სცვლიდა მეორე, ასეთი მდგომარეობა იყო, არის და იქნება ჯერ კიდევ. კარგათ აქვს ეს შეგნებული ჩვენს ხალხს და ამიტომ ის ასე გაფაციცებით ემზადება, თვალი ვერ მოუშორებია ჩრდილოეთისათვის. აუარებელი მაგალითებით დარწმუნდა ჩვენი დემოკრატია, რომ დენიკინი იქნება მის მეზობლათ, თუ საბჭოთა რუსეთი—სულ ერთია: ის საბრძოლველათ უნდა მზათ იყოს ორივე შემთხვევაში...

რაც შეეხება ევროპის დიდი სახელმწიფოების ჩვენდამი დამოკიდებულებას, უნდა ითქვას, რომ მათი დამოკიდებლობა იყო მეტად სასურველი განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, ეს სახელმწიფოები: ინგლის-ამერიკა-იტალია ხშირად ჩვენ გვესარჩლებოდნენ, როცა დენიკინი დააპირებდა ცეცხლითა და მახვილით ახლად აღმოცენებული რესპუბლიკების განადგურებას. და ბოლოს, ამ სახელმწიფოებს შეუერთდა საფრანგეთიც, რომელიც როგორც ცნობები გვაქვს, საკმაოდ დარწმუნებულა იმაში, რომ დიდი, განუყოფელი რუსეთის აღდგენა არც ისე ადვილი საქმეა. და რომ შესაძლებელიც გახდეს მისი აღდგენა,—არავითარი აზრი არ ექნება მასზე საქართველოს და საერთოდ ამიერ-კავკასიაში არსებული რესპუბლიკების მიკერებას!... ასეთია საერთოდ დამოკიდებულება ჩვენდამი და თუ დიდმა სახელმწიფოებმა ჯერ ჯეროვნად ჩვენთვის ვერ მოიცალეს, იმის მიზეზით უნდა აიხსნას უმთავრესად, რომ საერთაშორისო ომით გამოწვეული ნგრევა არც ისე მცირე მნიშვნელოვანია, როგორც ეს ბევრს ჰგონია. ამასთან შედარებით ჩვენი საკითხი მესამე და მეხუთე ხარისხოვანია.

როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში ყოველი ნაბიჯი, დემოკრატიის მიერ გადადგმული ექვემდებარებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას. შინაურ პოლიტიკაში არ ყოფილა არც ერთი საკითხი, რომ ის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით არ გაშუქებულიყოს. ყველაფერი დამოუკიდებლობას დაემორჩილა, ყველა დამოუკიდებლობის განმტკიცებას ემსახურებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხმა და მხოლოდ ამან გააერთიანა ნამდვილი საქართველოს პოლიტიკური მიმდინარეობანი. მთელი წლის განმავლობაში შინაური ძალა არ გამოსულა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, გვებრძოდნენ მხოლოდ გარეშე ძალები—ფულით მოსყიდული აგენტებით, პროვოკაციებით და სხ. უკანასკნელმა ივრით წადებულმა ბალშევიკურმა გამოსვლამ ნათლად დაანახა ყველას, რომ ხალხი გარეშე ძალას არ გაჰყვება, ხალხმა უკვე შეითვისა დამოუკიდებლობის იდეა და სისხლით იცავს მას!

ამ მხრით სწარმოებდა პარლამენტის მუშაობა ახალი წლიდან დამფუძნებელი კრების გახსნამდე. გასული წლის დამდეგს ოთხ-ფრთიანი სისტემით დამფუძნებელი კრების არჩევნები, მარტის პირველი რიცხვებიდან დამფუძნებელი კრების მუშაობა, ქალაქის თვითმმართველობების, ერობათა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა მუშაობა—იყო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. რეალური ძალა კი, რომელიც იცავდა ამ დამოუკიდებლობას, იყო თვით დემოკრატია, შეიარაღებული,—სახალხო გვარდიისა და ახალგაზრდა დემოკრატიული ჯარის სახით. წლის განმავლობაში შესამჩნევად გაიზარდა ჩვენი მილიტარული ძალა როგორც რაოდენობით, ისე ღირსებით, რომ ეს ასეა, ყველამ დაინახა გვარდიის დღეს—12 დეკემბერს.

საადგილ-მამულო რეფორმა, ზრუნვა სოფლად მეურნეობის გაუმჯობესებისათვის, სწავლა განათლება, სასამართლო, მუშათა საკითხის მოგვარება და სხ. ერთ მთავარ საკითხებათ იყო დღიურ სამუშაო წესრიგში როგორც მთავრობისთვის, ისე ადგილობრივ თვითმართველობებისთვის ეროვნების სახით.

ჩვენი მოკლე მიმოხილვა დაუმთავრებელი იქნებოდა, რომ ერთი გარემოებისთვის ყურადღება არ მიგვექცია. ჩვენმა ხალხმა, მართალია, შეითვისა დამოუკიდებლობის იდეა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეისწავლა, თუ როგორ შეიძლება დამოუკიდებლათ ცხოვრება. ხალხის ერთი ნაწილი გარეთ იცქირებოდა—ყოველ დღე მოელოდა ფქვილით, ფართლით და სხვა სურსათით თუ საქონლით დატვირთულ გემებს საზღვარ გარეთიდან...

ბევრი, ძალიან ბევრი გაკეთდა შინაური ცხოვრების მოსაწესრიგებლათ, მაგრამ ხალხი მაინც ვერ შეურიგდა საბოლოოთ იმ აზრს, რომ მან და მხოლოდ თითონ მან უნდა მოაწყოს საკუთარი ცხოვრება,—უნდა განავითაროს წარმოება, ააყვაოს მეურნეობა და სხ.

ამიტომაა, რომ ჩვენი ექსპორტი დღემდი ჩამორჩა იმპორტს. შემოგვაქვს ხორბალი საქონელი საზღვარ-გარეთიდან მეტი, ვიდრე გაგვაქვს,—ეს კი სცემს ჩვენი ფულის კურსს, აძვირებს საქონელს, რაც მძიმე ტვირთად აწვება ღარიბ ხალხს, განსაკუთრებით მუშათა კლასს.

შემცდარი არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ გასული წლის განმავლობაში ერთი მანეთის ღირალ გატანილ საქონელზე შემოგვიტანია 4—5 მანეთის საქონელი. გარდაუვალი კანონი კი ასეთია: რამდენს მეტ საქონელს გაიტან და ნაკლებს შემოიტან, იმდენად შენი ფულის კურსი დიდია, იმდენად იაფობაა სახელმწიფოში. ჩვენ გასატანი საქონელი საკმაოდ მოგვეპოვება, როგორც ნედლად ისე დამუშავებასაც შევძლებთ. აი საითკენ უნდა იქნას მიქცეული მთელი ჩვენი ყურადღება. ამ მხრით გასულ წელს მოვისუსტებდით, წელს მაინც გავაძლიეროთ მოქმედება...

საზოგადოთ ძნელია ეხლა ყველა იმის ჩამოთვლა, მით უმეტეს, პატარა წერილში, თუ რა გაკეთებულა წლის განმავლობაში. საერთოდ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბევრი, ძალიან ბევრი გაკეთდა, რაც არ გვაძლევს საბუთს ცუდათ, წყევა-კრულვით მოვიხსენიოთ გასული წელი, როგორც ეს ძველად იყო მიღებული...

შინაგან საქ. სამინისტროში

ნეიტრალ ზონაში რკინის გზის სახანძრო ჭონების დატაცება

გზათა დეპარტამენტმა შემდეგი აუწყა შინაგან საქმეთა სამინისტროს: სალიანდაგო განყოფილების მე-8 უბნის უფროსის მიერ მოწოდებულ ცნობით სანაინის რაიონში, ნეიტრალურ ზონაში, რკინის გზის ფარგლებში სახანძრო ჭონების გატაცება ხშირ მოვლენათ გადაიქცა და ამ ჭონების აღმოჩენა შეუძლებელი ხდება. მაგალითად მე-71 ვერსზე წაღებულია ბოროტ-მომქმედთა მიერ 120 ახალი შპალები; მე 82 ვერსზე მოხსნილია და გატაცებული სადარაჯო სახლის სახურავის 40 ცალი ფურცელი რკინა; მე-109 ვერსზე დარაჯის ოთახის ფანჯრების და კარების ჩარჩოები წაუღიათ. იტაცებენ აგრეთვე სალიანდაგო შენობებიდან ყოველგვარ მასალას და სხ. იყო შემთხვევა თვით მოსამსახურეთა ჭონების გატაცებისაც კი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამის გამო საჭიროთ მოსთხოვა ახსნა განმარტება ნეიტრალურ ზონის კომისარს და წინადადება მისცა სასტიკი ზომები იქნეს მიღებული უკანონობის აღმოსაფხვრელათ.

ქარიშხალისგან ციხის დაზიანება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალქალაქიდან აუწყებენ, რომ 24 დეკემბერს დილის 10 საათზე ძლიერმა ქარიშხალმა აღმოსავლეთის მხრით ციხის შენობის სახურავი მოგლიჯა და დაანგრია ერთი კედელი ციხის შიგნიდან და სხ.

ქუთაისის საგუბერნიო ციხის სამზრუნველო კომიტეტი.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით შესდგა ქუთაისის საგუბერნიო ციხის ახალი სამზრუნველო კომიტეტი, რომლის წევრებია: 1) სამაზრო ერობის თავმჯდომარე კონსტანტინე სულაქველიძე, 2) ქალაქის თვითმმართველობის წევრი ანტონ მეფისაშვილი, 3) ქუთაისის სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჭუმბურიძე, 4) ექიმთა პროფესიონალურ კავშირის მდივანი ექ. ევსევი ლოსაბერიძე, 5) ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე გიორგი ტუსკია, 6) კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარე პლატონ თალაკვაძე და 7) ვაჭართა ბიუროს თავმჯდომარე ბართლომე მოსეშვილი. ამას გარდა ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწე აკ. მომფორია, ქალაქის მილიციის უფროსი სილიბისტრო მაღნარაძე და საპყრობილეთა ინსპექტორის თანაშემწე ტიხონ ჭეიშვილი მოვალენი არიან თავისი თანამდებობის გამო მონაწილეობა მიიღონ კომიტეტის მუშაობაში.

იუსტიციის სამინისტროში

სიკვდილით დასჯა.

იტფილისის საპყრობილეთა ინსპექციამ მოხსენებით აცნობა იუსტიციის სამინისტროს, რომ დუშეთის დროებით საგანგებო სამხედრო საველე სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა შემდეგ ტუსაღებს: 1) გრიქულა ისაიანცს, იგივე (ისაშვილი), 2) შაქრო ლალიაშვილს, 3) შაქრო ავსაჯანოვს და 4) ალექსი ვერძელს. განჩინება იქნა სისრულეში მოყვანილი დეკემბრის 17-ს. ზემო აღნიშნულ პირებს გარდა იმავე სასამართლომ მიუსაჯა გაბო ვერძელს, შიო სონიაშვილს და შაქრო

აბრამიშვილს კატორღა—პირველს ორს 14 და უკანასკნელს 20 წლისა.

სახამ. პალატ. თავმჯდომარის დანიშვნა

საკასაციო დეპარტამენტის საერთო კრების ამა 17 დეკემბრის დადგენილებით, პროკურორის ამხანაგი ასლან გოჯასპირის ძე გელოვანი დანიშნა ტფილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარედ.

საგანგებო სასამართლოს დაარსება.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი დეპეშით მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ სამტრედიაში, პალატის პროკურორის წინადადებით, დაარსდა სამხედრო საგანგებო სასამართლო.

გზათა სამინისტროში.

გემი „ჭოროხი-"ს მეზღვაურთა დაბრუნება.

გზათა დეპარტამენტს ფოთიდან დეპეშით აუწყებენ, რომ ბათუმზე ფოთში მოვიდნენ გემი „ჭოროხი"-ს მეზღვაურნი და ბარჟა № 133. ყველა ჯანსაღათ არიან.

თოვლი.

გზატკეცილების უფროსი ინჟ. ჩხეიძე აუწყებს გზათა დეპარტამენტს, რომ ჯვარის ქედსა და სად. კობის შუა საქართველოს სამხედრო გზაზე დიდი თოვლი მოვიდა და მოძრაობა შეწყვეტილია. მილებულია საჩქარო ზომები გზის გასაწმენდათ.

დამფუძნებელი კრება

30 დეკემბერი.

დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები შემდეგი დეკრეტებისა:—1) მთავრობის საქმეთა მმართველობის შტატისა და 1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ, 2) ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის დასახმარებლათ 150000 მან. გადადების შესახებ, 3) სასამართლოებში შინაური საბუთებით მოპოებულ უძრავ ქონების შესახებ სამოქალაქო საქმეთა წარმოების შეჩერებისა, 4) დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის წიგნების შესაძენად 1000000 მან. გადადებისა, 5) დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში 200000 მან. გადადების დეკრეტისა მოულოდნელ და წინასწარ გაუთვალისწინებულ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ.

ე. კალაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—რკინის გზის სამხედრო წესების განგრძობისა.

თ. ლლონტის და **დ. თოდუაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—ხეთა ზუგდიდის რკინის გზის დასამთავრებლად 7315000 მან. გადადების შესახებ.

თ. ლლონტის და გრ. ურაქაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—გზა-ტკეცილების შესანახად 16,138,430 მ. გადადების შესახებ

სვ. მდივნის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს 1919—1920 წ. დამატებით ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში 17,784065 მან. გაღების შესახებ.

ლ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობის ძვირფასი ნივთების შესაძენათ სამუზეუმო თანხის დაარსებისა.

კ. ნინიძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—1914 წლის დეკემბრის 16 ს დროებით კანონის (შესახებ გადასახადის გადიდებისა) მოქმედების 1920 წ. დეკემბრის 31-დე განგრძობის შესახებ.

კ. ნინიძისვე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—სასამართლოს ზოგიერთი ხარჯის გადიდებისა.

დ. ოზიაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ განსაკუთრებულ მოქმედების განგრძობისა—სპეკულიაციისა, კონტრ-რევოლუციისა და მმართველობის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

ამ დეკრეტის წინააღმდეგ ილაშქრებს **ლ. შენგელაია** და მოითხოვს საგანგებო რაზმის გაუქმებას, რადგანაც ასეთი რაზმის არსებობა ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის პრინციპებსო.

ნ. რამიშვილი (შინ. საქ. მინ.) ამტკიცებს, რომ დღეს ჩვენში არაჩვეულებრივი პირობებია, დემოკრატიული სახელმწიფო არაა უზრუნველყოფილი საფრთხისაგან და ასეთ პირობებში საგანგებო რაზმის არსებობას მოითხოვს სწორედ დემოკრატიული პრინციპები და ხალხის ინტერესები ასეთ არაჩვეულებრივი მდგომარეობის დროს—განაგრძობს მინისტრი—რევოლიუციონური დემოკრატია ყოველთვის მიმართავდა განსაკუთრებულ ზომებს, საგანგებო რაზმებს (მოჰყავს მაგალითები საფრანგეთის დიდი რევოლიუციიდან), რათა რევოლიუცია დაეცვა მტრებისაგან. დასასრულ მინისტრი აღნიშნავს, რომ მთავრობა ფიქრობს შექმნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც შეუძლებელი გახდება ჩვენი დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ რაიმე სერიოზული გამოსვლების მოწყობა და ჩვენი დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილ იქნება ყოველგვარი საფრთხისაგანო.

კ. ნინიძე (ს.-დ.). ააშკარავებს სოც.-რევოლუციონერების ანტი-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, აკრიტიკებს ლ. შენგელაიას დებულებებს და ამბობს: ბ-ნი შენგელაია თავის სიტყვაში დასტრიალებდა ერთ დებულებას: ჩვენ სოციალისტები ვართ და ჩვენთვის მიუღებელია საგანგებო რაზმების არსებობაო. ჩვენ თქვენზე უკეთესი სოციალისტები ვართ, ბ. შენგელაია, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ სწორედ ობიექტიური პირობები და ხალხის, დემოკრატიის ინტერესები გვაიძულებს ჩვენ ვიყოლიოთ საგანგებო რაზმი. და ამ რაზმმა უნდა იარსებოს მანამ, სანამ ჩვენი დამოუკიდებლობა, რევოლიუციით მონაპოვრები სავსებით არ იქნება უზრუნველყოფილი გარეშე, თუ შინაური მტრებისაგან.

დეკრეტის წინააღმდეგ ხმა მისცეს სოც.-რევოლუციონერებმა.

საღამოს სხდომა.

საღამოს სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანიამ** გააკეთა განცხადება იუსტიციის და სამხედრო სამინისტროების დაარსების შესახებ და აგრეთვე მოიყვანა მოტივები, როგორც მომარაგების, ისე ამ ახალი სამინისტროების დაარსებისა. სამხედრო მინისტრად მოწვეულია, ამბობს ბ. ჟორდანია, გრ. ლორთქიფანიძე, იუსტიციის—რ. არსენიძე. ამ განცხადების გამო ილაპარაკეს ა. ასათიანმა, გრ. გიორგაძემ და ლ. შენგელაიამ. დაწვრილებით შიმდეგ.

უცხოეთი

იტალიის მისიის რადიოს ცნობები.

30 **დეკემბერი.**

რომი, 28 დეკ. სენატში გრძელდება კამათი წინასწარ მუშაობის შესახებ. ტრიბუნები სავსეა. დარბაზში 150-ზე მეტი სენატორია. ილაპარაკეს მაციოტტამ, ჩირაოლამ, ვანტუჩიმ დი-რომბიანმა და სხ. შეეხენ იტალიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მრავალ საკითხს, მაგრამ მთავარ ყურადღებას აქცევდენ ფიუმ-ადრიატიკის საკითხს. ზემოხსენებული ორატორები იცავდენ თავის შეხედულებას, როგორც ფიუმეს საკითხის გამო დანიშნულ საგამომძიებლო კომისიის წევრნი სენატორი ჩირაოლო, რომელსაც სიტყვას ხშირათ აწყვეტინებდენ, ცდილობდა დაეცვა კლემანსო იმ სიტყვის გამო, რომელიც მან წარმოსთქვა ამას წინათ საფრანგეთის პალატაში და რომელმაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მთელი იტალიის საზოგადოებრივ აზრზე, მეორე დღეს ილაპარაკებენ ვრალოა და ნიტი.

ვენა, 28 დეკ. ჩანცელერმა რენნერმა 12 დეკემბრის თარიღით დეპეშა მიიღო, სადაც ნიტტი მას აუწყებს, რომ იტალიამ დაიწყო ჰურის გზავნა ავსტრიის გამოსაკვებათ და დაპირდა, რომ ყოველ ზომებს მიიღებს იგი ავსტრიის ეხლანდელ მძიმე მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

ვლადივასტოკი, 28 დეკ. იაპონური გაზეთები იუწყება: შეერთებული შტატები და იაპონია შეთანხმდენ ციმბირში შეთანხმების მოქმედების შესახებ.

პარიზი, 28 დეკ. თანდათან უფრო საშიშო ცნობები მოდის ჩრდილოეთ საფრანგეთში წყალდიდობის შესახებ.

— „მატენ"-ს ლონდონიდან აუწყებენ: ყოფილი კრონ-პრინცი შეტანილია იმ პირთა სიაში, რომელთაც ბრალი ედებათ იარაღით ხელში ძარცვა და ქურდობა.

რომი, 29 დეკ. იტალის გაზეთები ენერგიულ პროტესტს აცხადებენ ინგლისის წინადადებით ყოფილ ავსტრიის სახელმწიფოთა შორის საბაჟო კავშირის დადების შესახებ. გაზეთები შენიშნავენ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ პირველი ადგილი დაიჭიროს და უპირატესობა მოიპოვოს ავსტრიის რეორგანიზაციაში და ამით ცდილობს ცხოვრებაში გაატაროს ისეთი დადგენილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება დაინტერესებულ ქვეყნების მისწრაფებებს.

დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

მოსკოვი, დეკემბრის 30. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი. სამხედრო ცნობა. დეკ. 30. კარელიის ყელზე მზვერავთა შეტაკება სწარმოებს. ნარვის რაიონში სასტიკი ბრძოლაა, მტერი ქიმიურ ყუმბარებს უშენს ჩვენს პოზიციებს. შვიდ ვერსზე ქ. ნარვის დასავლეთით, ჩვენმა ჯარმა გადალახა მდ. ნაროვა, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაეხია და ისევ გადმოსულიყო მდინარის მარჯვენა ნაპირზე. წამოვიყვანეთ 100 ტყვე. დვინის რაიონში მტრის რაზმი გადმოვიდა მდ. დასავლეთ დვინაზე, მაგრამ ჩვენ კონტრ-იერიშით უკუ ვაგდეთ. ჩერნიგოვის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის ქალაქ ჩერკასის ირგვლივ. კრემენჩუგის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო სადგური პავლიში. ეკატერინოსლავის რაიონში ჩვენი ჯარი მიადგა დნეპრს მდ. ვორსკლას შესართავიდან, ვიდრე ქ. ეკატერინოსლავამდე. პავლოგრადისა და გრიშინოს რაიონში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. ჩვენ ავიღეთ ქ. ბახმუტი და სამხრეთისაკენ წინ წავიწიეთ.

მილეროვოს მიმართულებით ჩვენ ავიღეთ სადგური გლუბოვკო. ჩვენი ცხენოსანი რაზმი შეიჭრა კრივოროჟიეში, დაამარცხა მტრის ჯარი და ხელთ იგდო 4 ზარბაზანი და სხვა სურსათი. მდ. ჩირის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის ჩერნიშევსკაიას აღმოსავლეთით. უსტ-მედვედიცასა და მდ. ილოვლის შორის ჩვენი ჯარი მტერს სდევნის. ჩერნოიარის რაიონში ჩვენი ჯარი წინსვლას განაგრძობს. ნოვო-ნიკოლაევსკის მიმართულებით კალჩუგინის რკინის გზის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. ალექსანდროვსკი. რკინის გზა სავსეა მტრის მიერ დატოვებული სამხედრო ქონებით.

სარატოვი, დეკ. 28. ცარიცინიდან გამოქცეულის სიტყვით, იქ საშინელი სიძვირე, ეპიდემია, უმუშევრობა და შიმშილობა სუფევს. მტრის ჯარი გაიხრწნა. მთვრალი ოფიცრები ახდენენ რეკვიზიციას. ქალაქში 11 სახრჩობელა სდგას. პოზიციაზე ძველი ოფიცრები აღარ დარჩენილან. იმათი უდიდესი ნაწილი კავკასიისკენ გაიპარა. ციქითვე გარბის ცარიცინის ბურჟუაზია.

სარატოვი, დეკ. 27. „პრიაზოვსკი კრაის" სიტყვით ჯარისათვის სურსათის დამზადებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ გლეხები ფულზე არ იძლევიან პურს. საჭიროა მისი რომელიმე საქონელზე გადაცვლა.

ვიტებსკი, დეკ. 27. პოლონურ გაზეთების ცნობით დენიკინისა და ანტანტის შორის ახალმა უთანხმოებამ იჩინა თავი. მიზეზი უთანხმოებისა ყუბანის მიერ პურის მიცემაზე უარია.

ბელგოროდი, დეკ. 26. რეველიდან იუწყებიან ლიტვისა და ლატვიშთა შორის უთანხმოების გაძლიერებაზე. უთანხმოების საზღვრების საკითხი იწვევს. ლატვიშები მიტავა-ლიბავის რკინის გზას მისი რაიონებითურთ თავის საკუთრებათ სთვლიან. მოსალოდნელ შეტაკების გამო ამაგრებენ ქალაქებსა და სანაპირო ადგილებს. პოლონეთის სამხედრო სამინისტრომ მობილიზაცია გამოაცხადა.

ნაუენი, დეკ. 29. სტრასბურგიდან იუწყებიან, რომ იქ მდგომ ფრანგების ჯარს კვლავ ემატება ახალ ახალი რაზმები. ყაზარმები სავსეა. ჯარი კერძო ბინებზედაც არის დაბანაკებული. ამაგრებენ სტასბურგის ფორტებსაც.

უფა, დეკ. 28. მიღებული ცნობების თანახმად ტოკიოში სათბობი მასალის დიდი კრიზისია, შემცირდა სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა და მოსალოდნელია ქარხნების შეჩერებაც.

ფრანგული პრესა.

უმაღლესმა საბჭომ კამბონის თავმჯდომარეობით დღეს დილით გადასწყვიტა გენ. ნისენს გაუგზავნოს მისალოცი დეპეშა იმის მისიის მოქმედების კეთილად დაგვირგვინებისათვის.

(დასაწყისი არ მიგვიღია). საკმაოდ ვრცლად დაასურათა ფინანსიური მდგომარეობა ომამდის და ომის დროს მან ჩამოთვალა ომის დროს გაწეული განსაკუთრებული ხარჯები დახარჯულია: 40 მილიარდი არტილერიაზე, 6 მილიარდი ჰაერში ფრენაზე, 7 მილიარდი საზღვაო საქმეზე, მეორე მხრივ სოციალური ხარჯებზე 19 მილიარდი, ვალის გასასტუმრებელი 25 მილიარდი, საზოგადო სამსახურზე 20 მილიარდი, სურსათ-სანოვაგზე 4 მილიარდი და განთავისუფლებულ ოლქებზე 12½ მილიარდი. ამ შემოსავლის წყაროები შემდეგია: ბანკებში შეტანილმა განძეულობამ მოგვცა 31 მილიარდი, ბონებმა და ობლიგაციებმა 49 მილიარდი, გარეშე კრედიტმა 3½ მილიარდი, ბანკის ავანსმა 25 მილიარდი, სესხმა 53 მილიარდი, ერთად 195 მილიარდი. ამას გარდა კლოტცმა უნდა 200 მილიარდი ვალი, რომელიც გერმანიას აძევს. გერმანიამ ჩვენ უნდა მოგვცეს 25 მილიარდი. ეს საქმე უნდა მოვაწყოთ. მოკავშირეთა შორის ამის შესახებ უკვე მოლაპარაკება სწარმოებს. ამის შემდეგ კლოტცმა საფრანგეთის რეპრესიები აღნიშნა. პირველ რიგში რკინის წარმოება, შემდეგ ულევი ნაცარი ელზას-ლორენისა. კოლონიებს შეუძლიათ მოგვცენ ყველაფერი, რაც კი საფრანგეთს აკლიაო. ასე რომ არაფერი არა გვაქვს სამწუხაროა. ომმა მიწათმოქმედება უმაღლეს წერტილამდე აიყვანა, საჭიროა მხოლოდ შრომა და სარგებლობაო. მისი მოხსენების შემდეგ პალატამ სესხს კენჭი უყარა და მიიღო 490 ხმით 64 წინააღმდეგ.

სომხეთ-ადერბეიჯანის მოვლდარ კონფლიქტის გამო.

ქრისტეშობისთვის 30 საქართველოში მყოფ აზერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლის მოადგილემ ბატ. ვექილოვმა ინახულა მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი ამიერ კავკასიაში გასკელი. ჰქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი მიმდინარე საკითხების შესახებ და დაბოლოს გადასცა მას შემდეგი შინაარსის ნოტა: ჩემგან მიღებულია ცნობები, სომხეთის ჯარის მიერ ერევნის გუბერნიის მაჰმადიანთა რამოდენიმე სოფლის აწიოკების შესახებ, აწიოკებულ სოფლებიდან ტფილისისაკენ მოდიან ასობით ლტოლვილები.

საჭიროდ მიმაჩნია გაცნობოთ, რომ სომხეთის მთავრობის აგრესიულ განწყობილებამ, იარაღით დაიმორჩილოს მაჰმადიანთა ის რაიონები, რომელთაც ნებით არ სურთ მათი მფარველობის ქვეშ შევიდნენ მიაღწია აზერბეიჯანის ხალხის ფართე მასამდე, უკანასკნელი აღელვებული სომხების სიმხეცით ითხოვს თავის მთავრობისგან შესაფერი ზომები მიიღოს თავის ხალხის გადასარჩენად.

ჩემის მხრით თქვენს მაღალკეთილშობილების ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ სომხეთის მთავრობის უკანასკნელი გამოსვლები ისე როგორც ზანგეზურის მაჰმადიანებზე თავდასხმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სომხეთ აზერბეიჯანს შორის 23 გიორგობისთვეს დადებულ ხელშეკრულების შემდეგ, მძიმე შთაბეჭდილებას ახდენენ აზერბეიჯანის ხალხზე.

წინადაწინ ნდობას უცხადებენ ტფილისის მომავალ კონფერენციას.

ყოველივე უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად უმორჩილესად გთხოვთ მთელი თქვენი ავტორიტეტი გამოიყენოთ, რათა ბოლო მოეღოთ სომხეთის ჯარის მიერ მშვიდობიან მცხოვრებლების განადგურებას.

საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა სომხეთის საგარეო საქმეთა კომისარისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„სომხეთის მთავრობამ ცნობები მიიღო, რომ ორდუბათისა და ნახიჩევანის მუსულმანები ხალილ-ბეისა და ხალილ-ფაშას ხელმძღვანელობით თავს დასხმიან სომხეთის სოფგორტანს. ს. აკულისი ალყა შემორტყმულია დ საშინლათ ნადგურდება. მცხოვრებთ ყელები დასჭრეს. შეტევა გრძელდება. სომხეთის მთავრობას არ შეუძლია გულგრილად უცქიროს ნახიჩევანისა და ორდუბათის მაჰმადიანთა მიერ სომხეთისა და ადერბეიჯანის პრემიერთა შორის 23 ნოემბერს დადებულ ხელშეკრულების დარღვევას. სომხეთის მთავრობამ მიმართა ადერბეიჯანის მთავრობას ბოლო მოეღოს ხსენებულ სისხლის ღვრას, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალ სისხლის ღვრის პასუხისმგებლობა ადერბეიჯანის მთავრობამ უნდა იკისროს.

ეროვა.

გურიის ერობაში

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობამ გადასწყვიტა გამოსცეს ყოველკვირეული გაზეთი სახელწოდებით: „გურიის ერობის მოამბე". გაზეთის პირველი ნომერი გამოვა 1 იანვარს 1920 წლისა. გამგეობამ აირჩია სარედაქციო კოლეგია სამი კაცისაგან. გაზეთში იქნება როგორც ოფიციალური, ისე არა ოფიციალური განყოფილება. გაზეთში მოთავსდება საგულისხმო დადგენილებანი, როგორც სამაზრო, ისე სათემო ერობისა, მოხსენებები და საერთოდ ყოველგვარი ცნობები ერობების შესახებ და აგრეთვე საერთო ხასიათის წერილები.

—

გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ბერეჟიანმა ამ დღეებში ჩამოიარა 22 თემი,

759

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ გადასახადის მცხოვრებლებზე გაწერა-განაწილების საქმეში, გაეცნო მათ მუშაობას და საჭიროებას და სხვა. სანიტარული გადასახადი ყველა თემებმა გააწერეს და აკრებასაც უკვე შეუდგენ. აკრიბება აგრეთვე მიწის ერთდროული დახმარებაც.

—

სამაზრო ერობის გამგეობამ თავის 24 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა: მიეწეროს ბახვის თემს დუაბზუს თემის ის ნაწილი სოფ. ვაკიჯვრიდან, რომელიც მოითხოვს ამას. ასეთია სულ 46 კომლი სოფ. ვაკიჯვრიდან, დანარჩენი მცხოვრებნი ვაკიჯვრისა ამას წინაზე შეუერთდა დუაბზუს თემს და ეხლაც იმ ყრილობაზე, რომელიც გაიმართა ამ ღღეებში ს. ვაკიჯვარში სამაზრო ერობის, ბახვისა დ დუაბზუს თემთა გამგეობების წარმომადგენელთა თანადასწრებით, ერთხმად ისურვეს დუაბზუში დარჩენა.

—

ერკეთის თემი, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, გაიყო ორათ: ერკეთისა და ხევის თემებათ. პირველის ცენტრია სოფ. ერკეთი, მეორესი სოფ. ხევი. სამაზრო ერობის გამგეობამ ეს დაამტკიცა.

—

ორათვე გაიყო ზემოხეთის თემი, ზემოხეთისა და საჭამიასერის თემებათ. პირველში დარჩა სოფლები: ზემოხეთი, კალაგონი, კვირიკე და წიაღობანი. ცენტრით კვირიკეში, დანარჩენი სოფლები შევიდენ საჭამიასერის თემში ცენტრით საჭამიასერში. საჭამიასერში დარჩენ ძველი ხმოსნები, ზემოხეთში კი დაინიშნა ახალი არჩევნები 4 იანვრისთვის. ამ თემში დიდი ხანია არსებობდა განხეთქილება ცენტრის გარშემო, რასაც შედეგად მისი ორად გაყოფა მოჰყვა, რაც სამაზრო ერობამაც დაამტკიცა. ამ ჟამად გურიაში ითვლება 28 თემი.

ხუსეინ.

ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციისაგან.

განსაკუთრებულ მძიმე პირობებში მოუხდა „ნაკადულს“ წელს მუშაობა.

ამ 15 წლის განმავლობაში, რაც ჟურნალი არსებობს, რედაქცია არასოდეს არ ყოფილა ისეთ აუტანელ მდგომარეობაში, როგორც წელს. საშინელი სიძვირე, ქაღალდის შოვნის შეუძლებლობა, მოუწყობლობა სტამბების საქმის ყველა დარგში—ესა და კიდევ ბევრი სხვა, რედაქციისაგან სრულიად დამოუკიდებელი გარემოება ხელს უშლიდა ჟურნალის წესიერ გამოსვლას და, რასაკვირველია, რედაქციას ფიქრიც კი არ შეეძლო იმაზე, რომ გაეფართოებინა და გაეუმჯობესებინა ჟურნალი, რაც ისე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საბავშვო გამოცემებისათვის ამ ნაციონალურ სახელმწიფოებრივ აღორძინების წლებში. თუ ამ მიზეზებს კიდევ დაუმატებთ ფოსტა-ტრანსპორტის მოუწყობლობას, რის გამო პროვინციაში ხელის მომწერთ არ მისდიოდათ რიგიანად ჟურნალი, მაშინ ყველასათვის ნათელი იქნება, თუ რა განსაკუთრებულ ცუდ გარემოებაში უხდებოდა წრეულს მუშაობა ჟურნალის ხელმძღვანელთ.

მომავალ 1920 წელს კი ყველა ტეხნიკური დაბრკოლება, რაც ხელს უშლიდა ჟურნალის თავის დროზე გამოცემას აღარ იქნება.

ჟურნალის გამოცემის საქმეში დიდ მატერიალურ დახმარებას უწევს რედაქციას სახალხო განათლების სამინისტრო, შეძლებას აძლევს დაფაროს ხარჯები და გააფართოვოს ჟურნალის პროგრამაც. რედაქციას მიღებული აქვს ზომები: და იგი ქაღალდით უზრუნველყოფილია, აშორებულია აგრეთვე სტამბის ტეხნიკური მოუწყობლობა (ჟურნალი იბეჭდება ერთ-ერთ საუკეთესო სტამბაში). საჭიროა აღვნიშნოთ ისიც რომ ფოსტის ტრანსპორტის გაუმჯობესობის გამო ხელის მომწერლებიც თავის დროზე მიიღებენ ჟურნალს.

ყველა ეს გარემოება რედაქციას შეძლებას აძლევს გამომცემლობის ყოველი ტეხნიკური სიძნელე თავიდან აიშოროს და მომავალ წელს თავის დროზე გამოსცეს ჟურნალი, გააფართოვოს და გააუმჯობესოს შინაარსი ბავშვის აზროვნების ახალი მოთხოვნილების თანახმად; ამას მოითხოვს ცხოვრების ახალი წყობილება და ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ამოშენებლობა.

რედაქციამ მოიწვია მუდმივი თანამშრომლები ჟურნალის გასაფართოებლად და ახალი პროგრამის შესამუშავებლად, ასე რომ ჟურნალში მომავალ წელს გვექნება განყოფილება — ყოველთვიური მიმოხილვა მსოფლიო ცხოვრებისა, ხელოვნებისა და მეცნიერებისა, ბავშვისათვის გასაგები ენით გაშუქებული—ევროპისა და აზიის ხალხთა პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ახალი ამბები, შესანიშნავი აღმოჩენები მსოფლიო მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ტეხნიკის დარგებში.

რედაქცია მიიღებს აგრეთვე ზომებს, რომ გააშუქოს ჩვენი მეზობელ ერების ცხოვრების საკითხები; განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული საქართველოს კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების გაშუქებას.

ახლანდელი ხანა ხალხთა ცხოვრებაში ამ ცხოვრების წყობილების რეფორმისა და აღმაშენებლობის დიდებული დროა: ქართველი ხალხიც თავისუფალ სახელმწიფოებრივ და კულტურულ შემოქმედების გზაზე გამოვიდა. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, იმ გარამოებას, რომ ბავშვებმა მიიღონ სწორი პასუხი იმათ აზროვნებაში აღძრულ კითხვებზე, რომ იმათი სული არ მოიშხამოს იმ გამხწნელ საწამლავისგან, რომელიც შექმნა ომისა და რევოლიუციით გამოწვეულმა ნგრევამ.

რედაქციამ მიიღო ყოველგვარი ზომა ამ მიზნების მისაღწევად; ამ საქმეში დახმარებას უწევს მას მთავრობაც; მაგრამ ყველაფერი ამაო იქნება, თუ რედაქციას არ დაეხმარება თვით საზოგადოება, თუ მხარს არ მისცემს მას ყველაზე უწინ ჟურნალის გამოწერით; ამიტომ რედაქცია მიმართავს მთელ ქართველ საზოგადოებას დახმარებისათვის.

ყველაზე უწინ ჟურნალის მოწოდებას უნდა გამოეხმაურნენ, რედაქციის აზრით, ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ყველაზე ახლოს სდგანან მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმესთან: ეროვნებებმა, ქალაქების თვითმართველობებმა, პედაგოგიურმა საზოგადოებებმა, ჩვენი ქვეყნის ყველა სასწაველებლებმა მათზე დამოკიდებული ყოველი ზომა უნდა მიიღონ ჟურნალის გავრცელების საქმეში; ზომები უნდა მიიღონ აგრეთვე ყველა პედაგოგებმა და საზოგადო მოღვაწეებმა; ყოველ მშრომელს უნდა ჰქონდეს ოჯახში თავის შვილებისათვის ჟურნალი. ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ არ შეიძლება არც ერთ წუთს ბავშვის დატოვება მისი სულიერი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალ თაობას მოელის სულიერი გადაგვარება.

რედაქცია სთხოვს საზოგადოებას გამოიწეროს ჟურნალი ახლავე, წლის დასაწყისში, და არა წლის ბოლოს, როგორც ეს ბევრს სჩვევია. მხოლოდ წლის დასაწყისში ჟურნალის ხელის მომწერნი მისცემენ რედაქციას საშუალებას გააფართოვოს და გააუმჯობესოს თავისი გამოცემა.

„ცენტრო-ბანკის“ დაარსება.

საქართველოს რესპუბლიკის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილების თანახმად ტფილისში არსდება ახალი ბანკი, რომელსაც ეწოდება სახელწოდება: „ცენტრო-ბანკი“—„ცენტრალური საგაჭრო-სამრეწველო ბანკი“. ამ ბანკის დაარსებაში მონაწილეობას ღებულობენ: საქართველოს რესპუბლიკის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის საბჭო და ტფილისის მსხვილი ვაჭარ-მრეწველნი. აქცია 1000 მანეთი ღირს. ერთს ხმას 25 აქცია ანიჭებს.

მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ხელის მოწერის მიხედვით შესაძლო იყო 30.000,000 მანეთიან ძირითად თანხის შეგროვება, წესდების მიხედვით ძირითადი თანხა 20.000,000 მანეთით განისაზღვრება.

საყოველთაო ხელის მოწერა გამოცხადდება 1920 წ. 15—20 იანვარს ტფილისში: სასოფლო-სამეურნეოსა, ამიერ-კავკასიისა და ევროპიულ კავკასიის ბანკებში; პროვინციებში: საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში და იმ საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებში, რომლებიც ბანკების საბჭოში შედიან. ბანკისათვის შენობა უკვე დაქირავებულია და ამ ჟამად სწარმოებს სათანადო საორგანიზაციო მუშაობა.

იმ საკითხების შესახებ, რომელნიც დაკავშირებულია ახალი ბანკის გახსნასთან შეიძლება მიმართოს საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის საბჭოს თავმჯდომარეს პ. ა. გოთუას (სასოფლო სამეურნეო ბანკი) და ყრილობის საბჭოს მდივანს კ. მხეიძეს (ამიერ კავკასიის ბანკი).

სხვა და სხვა

◆ უცხოეთში მიმავალ ახალგაზრდებისაგან შემდეგი დეპეშა მოვიდა ბათუმიდან: ვტოვებთ რა ბათუმს საფრანგეთ-ინგლისში მიმავალი ჯგუფი სამშვიდობო სალამს უძღვნის ქართველ ხალხს, დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და ფიცს ვდებთ, მთელს ენერგიას მოვახმართ ევროპის კულტურის საქართველოში გადმონერგვას საყვარელ სამშობლოს საკეთილდღეოთ.

◆ იანვრის პირველ რიცხვებში ტფილისში ჩამოვა ამერიკის ახალი კონსული ჩარლს მოზერი, რომელიც 1915 წ. გენერალურ კონსულათ იყო ხარბინში.

◆ კახეთის რკინის გზის პროფესიონალურ კავშირის მეორე დელეგატების ყრილობამ დაადგინა: დაევალოს სხდომის წევრებს თვალ-ყური ადევნონ იმ მოსამსახურეებს, რომელნიც ხელს უწყობენ სურსათის გაზიდვაში სპეკულიანტებს, კახეთის რკინის გზაზე, უთანადო ნებართვით. შენიშნული მოსამსახურეები გამოცხადებულნი იქნებიან როგორც სახელმწიფოს მოღალატენი.

◆ კიწიის (ლენაკის მაზრა) ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებაში გაიხსნა ტელეგრაფის მოქმედება, კორესპოდენციის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს ახალ-სენაკთან.

◆ გვთხოვენ გავაცხადოთ, რომ 14 წლის ქალი მარიამ ზუხუბაია ნიშნები: მარჯვენა ფეხით კოჭლობს, შავგვრემანი, სუქანი. პატრონი უმორჩილესად სთხოვს მათ, ვინც რაიმე იცის აღნიშნულ ქალის შესახებ, აცნობოს მას, კალოუბნის ქ. № 26, ბინა 4 ზუხუბაიას.

◆ 2 იანვარს, სახალხო თეატრში (ზუბალაშვილისა) წარმოდგენილი იქნება ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ მუსიკა დ. არაყიშვილისა ქართ. სამუსიკო საზ. და საქ. ცენ. კოოპერატივთა საოპერო სტუდიის მიერ.

◆ სამხედრო სამინისტროს განზრახული აქვს ამა წლის იანვარში დაითხოვოს სამხედრო სამსახურიდან ყველა დაბადებულნი 1897 წელში, რომელთაც უკვე შესრულებული აქვთ დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლ. 31 ივლისს გამოცემულ „სამხედრო ბეგრისა და შეიარაღებულ ძალთა შევსების“ კანონში აღნიშნული ნამდვილი სამსახურის ვადა.

◆ სამხედრო მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე დაინიშნოს სენატორის რევიზია გამოსარკვევათ იმისა, თუ რამდენათ და როგორი სისწორით არის შესრულებული რესპუბლიკის სამხედრო, სამოქალაქო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მიერ ჯარის შეკვება-შენგების შესახებ და დეზერტირობის წინააღმდეგ მთავრობის მიერ უკვე გამოცემული ყველა ბრძანება განკაოგულებანი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

სახლები,

მამულები, აგარაკები, მიწის ნაკვეთები, სავაჭრო საწარმოები, ფაბრიკები, ქარხნები და სხ. ვისაც უნდა იყიდოს ან გაყიდოს, მიმართოს

ინტელიგენტთა ჯგუფს.

ბევრი სერიოზული მყიდველებია და ბევრი სახლებიც ტფილისის საუკეთესო ნაწილებში და კავკასიის სხვა ქალაქებშიც. დავიდოვის ქ., № 3, ბ. 2, ტელ. 2—28. 11—2 ს. და 5—7 ს. 504 1—1

პარასკევს, იანვრის 2-ს დილის 11 საათზე გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ბინაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ძველ გაზეთებზე დაახლოვებით 30 ფუთი.

სარდიონ გეორგის ძე ბერაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე ფულით, 1150 მ., ორი ოქროს ბეჭედი თვლიანი, თავდებობის კვიტანცია 5000 მანეთის და პასპორტი ძღებული ქუთ. გუბ. რაჭის მაზრის. სოფ. პატარაონის საზოგადოებიდან. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს პატრონს მხოლოდ პასპორტი და კვიტანცია შემდეგი მისამართით: მალაკანის ქუჩა № 56, ს. ბერაძეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება.

483 3—1

ვერა ანდრიას ასული სტეფანოვისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული 1908 წელს ბაქოს ქალაქის უფროსისგან, დიპლომი მიღებული ხარკოვის უნივერსიტეტიდან 1915 წ., ორი მოწმობა მიღებული ქალაქთა კავშირიდან და „პროპუსკი“ მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციიდან.

478 3—1

გერმანე მაქსიმეს ძე გოგუაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა სურათით, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

467 3—3

მარიამ დიმიტრის ასული პირალოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული მილიციის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 470 3—3

აქციზის სამართველო ამით აცხადებს, რომ ონიაკის გადასატანი მოწმობა მიცემული კონიაკის საწყობის პატრონისაგან ალ. სუკიასოვისგან 16 დეკემბერს, 1919 წ. № 4511, ტფილისის კონიაკის საწყობის ილია ლაზარევის სახელზე ერთი კათხა სულ 30 ვედრის, სიმაგრით 43%. სულ 1290 გრად., ეს მოწმობა ამიერიდან გაბათილებულია, მის მაგიერ ლაზარევს მიეცა მოწმობის პირი 26 დეკემბერს, 1919 წ. № 9170-ით. 479 3—2

ფრანც სტანისლავის ძე ბრაზოვსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საპენსიო წიგნაკი № 19, და პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 423 3—2

ნიკოლოზ ადამის ძე ძემაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი თავისი და ცოლშვილის № 255, აღებული (ტფ. მაზრა) მარტყოფის კომისარიატიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 463 3—3

სახლი

დიდი, 2 სართულიანი, დიდრონი სარდაფებით 500 კვ. მიწით, 60 ოთახ მაღაზიებით სადგურის ახლო-იყიდება. პირობების გაგება შეიძლება პატრონთან, სლეპცოვის ქ. № 5, ბ. 3, ნ. ლგოტკა. 502 1—1

შინაგან საქმეთა სამინისტროს

საექიმო სასანიტარო განყოფილება

აცხადებს რომ 28 დეკემბრიდან ამა 1919 წ. რესპუბლიკაში არსებულ საავთიაქო ნიხრის შეცვლამდის ხელფასი (tacalabotum) გადიდებულია ორმოცი პროცენტით. 313 3—3

ევროპიულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი

ამით აცხადებს, რომ 2 იანვარს, 1920 წელს დილის 10 საათზე, ბანკის ბინაზე (კუთხე რუსთაველისა და ბარიათინსკის ქუჩის, № 17—2, სახ. არამიანცისა) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ამავე ბანკის ორმოცდა ათი აქციების გასასყიდათ, გაუქმებულ დროებითი მოწმობის № 52-სა, თანახმათ ბანკის წესდების მე-9 §-სა. 503 1—1

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირმა მოაწყო ავტომობილით მიმოსვლა ტფილისსა და დუშეთის შუა. სამგზავრო ეკვს ადგილიანი ავტომობილი მიდის ტფილისიდან ყოველ დღე ქალაქთა კავშირის სამეჯან. სახელოსნოდან, ოლღას ქ., № 29 დღის 2-ნახევარ საათ., დუშეთიდან დილით $7\frac{1}{2}$ ს. ყოველ დღე. ტფილისიდან დუშეთამდე ბილეთი ღირს 250 მან. ტფილისი—ცხეთა 150 მ., დუშეთი-მცხეთა—200 მ. მხოლოდ გაუყიდველათ დარჩენილ ადგილებზე. 293 5—3

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

ბარგის გადატანა

მძიმე და მჩატე (25 ფუთიდან) საბარგო ავტომობილებზე. ოლღას ქ., № 29, ქალაქთა კავშირის სამექანიკო სახელოსნო. ტელ. 1—60. 292 6—3

საქართველოს მთავრობის

რედაქტორის მოვალ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი